საქართველოს მთავრობის

დადგენილება №232

2013 წლის 9 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უწყებათაშორისი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 28 ოქტომბრის №408 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უწყებათაშორისი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 28 ოქტომბრის №408 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/10/2011, 010220030.10.003.016568) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მეოთხე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტები:

„ნ) საქართველოს მთავარი პროკურატურა;

ო) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

პ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**